ლევან სამსონია[1]
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.26

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენციის და ანექსიის საკითხისათვის

აბსტრაქტი. საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი მოვლენაა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ქვეყნის ძალადობრივი გასაბჭოება 1921 წელს. შედეგად საქართველომ დაკარგა სუვერენიტეტი და ევროპული ტიპის სახელმწიფოს განვითარების შანსი.

აღნიშნული თემის შესწავლა ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო. ცხადია, მოვლენების გაშუქება მიკერძოებული იყო. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. დღის წესრიგში დადგა გაყალბებული ისტორიის გადაფასება. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ჩვენი მიზანია ობიექტურად შევაფასოთ ეს *მოვლენა.*

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა რუსეთი, საქართველო, ინტერვენცია, ანექსია, ისტორიოგრაფია, გაყალბებული ისტორია, ობიექტური შეფასება.

Levan Samsonia[2]
Batumi Shota Rustaveli State University

For the Issue of Georgian Intervention and Annexation by Soviet Russia

Abstract. One of the most difficult events in the history of Georgia is the violent Sovietization of the country by Bolshevik Russia in 1921. As a result, Georgia lost its sovereignty and a chance for the development as a European-type state.

Study of the topic in historiography began immediately after the establishment of Soviet power in Georgia. Clearly, coverage of events was biased. From the beginning of the 90s of the XX century, from the restoration of state independence by Georgia, the situation has

[1] **ლევან სამსონია** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

[2] **Levan Samsonia** - PhD student of Batumi Shota Rustaveli State University;

changed radically. A reassessment of the falsified history was on the agenda. This process continues today. Our goal is to evaluate this event objectively.

Keywords: Soviet Russia, Georgia, intervention, annexation, historiography, falsified history, objective assessment.

ძირითადი კვლევა. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი მოვლენაა ქვეყნის ძალდატანებითი გასაბჭოება, რომელიც 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა, შედეგად საქართველომ დაკარგა სუვერენიტეტი, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანია. შესაბამისად ქვეყანას ევროპული ტიპის სახელმწიფოდ განვითარების გზა დაეხშო.

აღნიშნული თემის გაშუქება ისტორიოგრაფიაში დაიწყო გასაბჭოებისთანავე. ცხადია, მოვლენების გაშუქება ხდებოდა ტენდენციურად, აშკარად ამახინჯებდნენ ფაქტებს შეფასებისას, ამისათვის მუშაობდა მთელი სახელმწიფო მანქანა თავისი იძულებითი, ძალადობრივი ინსტრუმენტების გამოყენებით. მარტივად რომ ვთქვათ აყალბებდნენ ისტორიას. „…გაყალბებული იყო ისტორია, ტოტალურად მოთვინიერებული მწერლობა...“ (nation, 2021). ასე მაგალითად, 1921 წლის თებერვალში განხორციელებული საქართველოს ოკუპაცია ცხადდებოდა როგორც ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლად ბურჟუაზიის ბატონობისაგან. „...ცოტა ხნის შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ უხეშად დაარღვია საბჭოთა რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების პირობები,... მან კვლავ დაიწყო სასტიკი რეპრესიები კომუნისტების ... წინააღმდეგ, მენშევიკები ხელს უწყობდნენ ინგლის-ამერიკის სამხედრო საზღვაო ძალების კონცენტრაციას ბათუმის ნავსადგურში,... 1920 წლის დამლევსა და 1921 წლის დამდეგს საქართველოში სავსებით მომზადდა პირობები შეიარაღებული აჯანყების წარმატებით მოწყობისათვის...“ (თოიძე, 1981: 21). გაყალბებული ისტორია მიზნად ისახავდა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა წარმოჩენილიყო როგორც ბუნებრივი, აუცილებელი, სამართლიანი და კანონზომიერი მოვლენა.

ზუსტად შენიშნავს მკვლევარი ლევან კაპიტანოვი „...ეს ნარატივი საბჭოთა კავშირის არსებობის დადასტურებას ემსახურებოდა. ისტორიული ნარატივის მნიშვნელობა სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნების საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა 1970-80-იან წლებში, როცა ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე, სსრკ-მ ცხოვრება მოგონებებით დაიწყო-მეხსიერება დიდებულ წარსულზე, სსრკი-ის არსებობის გაგრძელების გამართლების მთავარ არგუმენტად იქცა...“ (კაპიტანოვი, 1989: 8).

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საქართველომ დაიბრუნა ადგილი ცივილიზებული მსოფლიოს თანამეგობ-

რობაში. ბუნებრივია დღის წესრიგში დადგა გაყალბებული, ისტორიის გადაფასება. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, ვინაიდან საკვლევი პერიოდის მასალების საკმაოდ დიდი ნაწილი ან რუსეთშია გატანილი ან კიდევ განადგურებულია. ჩვენი აზრით, დამოუკიდებლობის გამოცხადება პირდაპირ კავშირში იყო ახალ წესრიგთან, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამყარდა. ასევე ხასგასმით აღსანიშნავია, რომ 1921 წელს არსებობდა აჭარის საქართველოდან ჩამოცილების და თურქეთთან მიერთების საფრთხე.

1921 წლის 11 თებერვლიდან საქართველოში არსებული მეხუთე კოლონის ინსპირირებით ეწყობა ე. წ. „აჯანყება“ ლორეს ოლქში. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიოგრაფიაში ერთხმადაა მიღებული ის გარემოება, რომ არავითარ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია და იგი არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ინტერესებს, შულავერის მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ,,... ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიშა ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარი ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და კვირკველია, მოქმედებდნენ, როგორც რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები, ... ამ ქართველთ ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელიც მტერს მოუძღვიან და ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარიდა გახდნენ საქართველოს ტირანები, მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არ მიიღებს, ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარ გზით თავის თავზე არ აიღებს, იმისათვის ხომ არ უშრომია, იმისათვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ ,,შულავერის მთავრობა“ მიეღო, მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს რა ვაჟბატონები აპირებენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილებები კიდევ უფრო განმტკიცდება და იტყვის: ან სიკვდილი ან გამარჯვება“ (სურგულაძე,1991: 394-394). ეს სიტყვა ეკუთვნის ნოე ჟორდანიას, რომელიც მან წარმოთქვა დამფუძნებელ კრებაზე 1921 წლის 21 თებერვალს. სამწუხაროდ მთავრობის თავჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ თურმე გამოიკვეთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის სურვილი დაგვიანებული იყო. ცნობილია ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას არათუ არ ეგუებოდა, არამედ ის საქართველოს თავისსავე დოკუმენტებში მოიხსენიებდა, როგორც ,,საბჭოთა რესპუბლიკად“. ,,... 1921 წლის 16 თებერვლიდან ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თითქმის მთელ ტერიტორიებს უწევდა კონტროლს, მოსკოვში შექმნილ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში საქართველო იწოდებოდა ,,საბჭოთა რესპუბლიკად“, პოლიტიკური მოსაზრებით საბჭოთა რუსეთს არ სურდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1921 წლის 12 თებერვალს დაწყებული საომარი მოქმედებები რუსეთ-საქართველოს ომად წარმოჩენილიყო, ამ მიზნით 1921 წლის 16 თებერვალს მოსკოვს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჰყავს მის მიერვე

შექმნილი ... საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ (საქართველოს ისტორია, 2003: 108). რევკომის ხელშეწყობით ლორეს მხარის სომეხი ეროვნების მოსახლეობა ახერხებს ლორეს დაკავებას, ეს ბუნებრივია რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მხრიდან, შესაბამისად რევკომის ჩანაფიქრიც ეს იყო, ბოლშევიკები ამ ფაქტს გამოიყენებდნენ და კიდევაც გამოიყენეს საქართველოში საოკუპაციო ჯარების შემოყვანის საბაბად. ცალსახად უნდა ვთქვათ შემდეგი: სამხრეთ აღმოსავლეთი ფრონტი ინტერვენციისას გადამწყვეტ მიმართულებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ მოახერხა სამხედრო ინიციატივის ხელში აღება რაც ეგზომ მნიშვნელოვანია საომარი მოქმედების წარმატებით საწარმოებლად.

ისტორიოგრაფიაში მუსირებს ორი თარიღი: 1921 წლის 14 თებერვალი და 1921 წლის 16 თებერვალი, როცა ფ. მახარაძემ წერილით აცნობა მოსკოვს ლორეში შექმნილი ვითარება და მოითხოვა სამხედრო ძალით დახმარებოდნენ ე. წ. ,,აჯანყებულებს“ (სდსინ, ტ. IV, 2012: 31) და (საქართველოს ისტორია, 2003: 108). ,,...ფარსი უნაკლოდ მაინც ვერ იქნა გათამაშებული, საქართველოს ტერიტორიაზე საომარი ოპერაციები რუსეთმა 1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო, ხოლო საქართველოს რევკომს თხოვნა 16 თებერვალს გაუგზავნა, ე. ი. 12 თებერვლიდან 16 თებერვლამდე, რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის ფორმალური საბაბიც კი არ ჰქონდა“ (საქართველოს ისტორია, 2003: 108).

გეგმა წინასწარ იქნა შემუშავებული და ბოლშევიკები ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. თუმცაღა ისინიც ფრთხილობდნენ საქართველოში შემოჭრას, რასაც ადასტურებს საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის სარდლის გენერალ ჰეკერის 1920 წლის საიდუმლო მოხსენება ,,კავკასიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს თავჯდომარის სერგო ორჯონიკიძისადმი, სადაც ნათქვამია: ,,1920 წლის 18 დეკემბერი, საიდუმლო. თქვენი წერილის N1753 საპასუხოდ ქვემოთ მოგახსენებთ მოსაზრებებს თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ამისთვის: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკიდებულება თურქეთთან. 2) ჩვენი ძალების მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლება თავდასხმის პუნქტებზე. 3) ქართული ჯარის მდგომარეობა და რიცხობრივი ძალა. 4) მდგომარეობა ჩვენს ზურგში...“ (სურგულაძე, 1991: 388).

იმავე საიდუმლო წერილში წითელი არმიის სარდალი ავითარებს შეხედულებებს, რომ სომხური ძალები სუსტია და სწორედ ამიტომ მას არ მიაჩნია ასეთ ვითარებაში გამოეყენებინა ჯარები, რომლებიც თურქეთისათვის ჯებირს წარმოადგენდნენ ლენქორანსა და ყარაბაღში. „...თუ რევოლუციური სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ ქიაზიმ კარაბექირის ჯარები ჩვენს

მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობ-ლემა და უპირველეს ყოვლისა თბილისის, უფრო რეალური გახდება. საქართვე-ლოს წინააღმდეგ სრულიად უსაშიშრო ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია სა-ჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეითი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსკენ ქვეითი ჯარის ერთი დივი-ზია და კავალერიის ორი დივიზია... აღსტაფა ელიზავეტოპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია... სრული ნამდვილი რიცხვით 25 ათასი ხიშტი და ოთხი ათასი ხმალი.... რაც შეეხება ქართული ჯარისა და გვარდიის მდგომარეობას, ამის გამო აქ აღარ ვილაპარაკებ... აქ მხოლოდ უნდა გავიმეორო, რომ მიუხედავად სი-სუსტისა და რევოლუციური სულისკვეთებისა ქართულ ჯარებს შეუძლიათ წინა-აღმდეგობა, განსაკუთრებით თუ ჩვენ ინიციატივა თავიდანვე წაგვერთვა“ (სურ-გულაძე, 1991: 391-392). საბჭოთა რუსეთმა წარმატებით გაართვა თავი ოსმალეთ-თან პოზიციების შეჯერებას. ,,...საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის და საქა-რთველოს დაპყრობა ოსმალეთის თანხმობით მოხდა, დღის წესრიგში დადგა სა-მხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენა“ (ვარდოსანიძე, გურული, ხარაძე, ჯიქია, კვარაცხელია 2015: 5). „...არც ის მიგვაჩნია გადაჭარბებულად, უკეთუ ვიტყვით, რომ საქართველოს ამ კლასიკურ რუსულ დაპყრობაში - თუ გადამწყვეტი არა, მაინც ძალიან დიდი როლი შეასრულა თვი-თონ ქართულმა ანუ „გაუცხოებულმა ქართულმა“ ამ შემთხვევაში -„გარუსებულმა ქართულმა ელემენტმა... იგულისხმება ისეთი ძლიერი პერსონალია, როგორიც ჯუღაშვილ-სტალინი და ორჯონიკიძე გახლდათ. ტრაგედიას გარდაუვალს ხდიდა ისიც, რომ ბოლშევიკური რუსეთის შემოსვლის დროს, თვითონ საქართვე-ლოს სათავეში ფრიად სუსტი ხელისუფლება იდგა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ უფრო ძლიერი ქართველობა (ჯუღაშვილი-ორჯონიკიძე) საქართველოს სამტრო ბანაკში იყო, უფრო სუსტი (ჟორდანია და სხვა) თვითონ საქართველოს სათავეში....“ (კირთაძე, 1996: 5-6). სრულიად გასაზიარებელი პოზიციაა, მენშევი-კური მთავრობა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე და ერთგავრი მიამიტურობითაც კი გამოირჩეოდა. ჟორდანიას არწმუნებდნენ რუსეთიდან, რომ მათთვის ინტერვენ-ციის შესახებ არაფერი იყო ცნობილი და რომ ეს მოქმედება სომხეთის მიერ იყო ინსპირირებული. მაშინ როცა სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი შავერ-დოვი მზად იყო მოლაპარაკების გამართვისათვის. „... 15 თებერვალს შეიმანმა (რუსეთის წარმომადგენელი თბილისში) ბაქოდან მიიღო დაშიფრული ტელე-გრამა: ,,გადაწყდა რუბიკონის გადასვლა, იმოქმედეთ ამ გადაწყვეტილებასთან შე-თანხმებით... 16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ მიმართა მოსკოვს, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ლ. კარახინმა უარი განაცხადა მასთან მოლაპარა-კებაზე...“ (კირთაძე, 1996: 6-7). ,,...საბჭოთა რუსეთს ახასიათებს კომუნისტური ტოტალიტარიზმი, რომელიც თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება ადამიანის და

ერის უფლებათა განხორციელებას სანამ ეს რეჟიმი არსებობს მოსკოვში ჩვენს განთავისუფლებაზე (და სხვა ერებისაც) ლაპარაკიც ზედმეტია...“ (მებრძოლი საქართველო, 1952: 1).

დემოკრატიულ საქართველოს თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში უამრავი გამოწვევა ქონდა. ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებებია დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით. რა იყო არსებითი ხასიათის განმაპირობებელი ფაქტორი, რომელმაც სუვერენიტეტი დააკარგვინა სახელმწიფოს? ერთ-ერთი ფაქტორი ჩვენი აზრით, რომელმაც უარყოფითი როლი ითამაშა სუვერენიტეტის დაკარგვაში, მდგომარეობდა ეროვნული თანხმობის მიუღწევლობაში, უფრო სწორად კი ძალიან სუსტი იყო კავშირები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის, ჭარბობდა ვიწრო პარტიული დაპირისპირებები სხვადასხვა პლატფორმაზე მდგომ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, რაც რთულს ხდიდა შეთანხმების მიღწევას და ძალთა კონსოლიდირებისთვის აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა. მენშევიკები, რომლებიც წამყვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ საქართველოში, რევოლუციურ პრიზმაში განიხილავდნენ მოვლენებს. მათ შორის სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციაზე, როგორიც იყო ჯარი, არ არსებობდა ერთიანი, სახელმწიფოებრივად სწორი პოლიტიკა, სწორედ მათი პარტიული შეხედულების, პარტიული ფილოსოფიის გამო. ამ განწყობას ნათლად გამოხატავს გენერალი გ.კვინიტაძე თავის ნარკვევში, „ჩემი პასუხი“. გ. კვინიტაძის აზრით მენშევკური მთავრობა არ იჩენდა სათანადო ყურადღებას ჯარის მიმართ,რადგან ის არ მიაჩნდათ პარტიული და სოციალისტური შეხედულებების მქონე ორგანიზმად. ჯარში კი გენერლობა თუ ოფიცრობა ბუნებრივია შორს იდგნენ სოციალიზმისაგან, როგორც მენშევიკური ისე ბოლშევიკური პლატფორმისაგან, ამიტომაც ჟორდანიას მთავრობა უნდობლობით უყურებდა არმიის ხელმძღვანელობას.

გენერალი გ. კვინიტაძე გულდაწყვეტით საუბრობს იმაზე, რომ ის რამდენჯერმე იქნა განთავისუფლებული არმიის სარდლობიდან ახსნა-განმარტების გარეშე და ძალიან ბევრჯერ დაუძახეს მოულოდნელად, როცა საქმე უფუჭდებოდა მთავრობას. ის, როგორც პროფესიონალი სამხედრო პირი და სამშობლოს პატრიოტი ყოველთვის უსიტყვოდ ღებულობდა დავალებებს ხელისუფლებიდან შესასრულებლად. „...ჩვენი მთავარი სატკივარი იყო სამხედრო ძალის მეთაურობის მოწყობა, ქართული ოფიცრობა იყო გაზრდილი რუსის ჯარში და შკოლაში, იყო ამავე დროს რუსის ორიენტაციის, მხოლოდ არა ბოლშევიკურ, არამედ თეთრის, ჩვენთან მოდიოდა უმთავრესად ბოლშევიზმის სიძულვილით და არა თავისუფლების სიყვარულით,... აი რას წერდა ქართველ ოფიცრებზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, გადაგვარებულად ასახელებს ხან უმცირესობას, ხან უმრავლესობას, განა შეეფერება მთავრობის თავჯდომარეს ასეთი ბრალდებანი?, სინამდვილე კი სულ სხვა იყო...“ (კვინიტაძე, 1954: 9). გ. კვინიტაძე ხაზგასმით აღნიშნავს

ჯარისკაცთა სავალალო სოციალური მდგომარეობის შესახებ. თუკი გადავხედავთ ნ. ჟორდანიასა და გ. კვინიტაძის მოგონებებს ნათლად დავინახავთ, რომ ქვეყნისათვის ამ უმძიმეს პერიოდში ვერ ხერხდებოდა ეროვნული თანხმობის მიღწევა, მხარეები ურთიერთ ბრალდებებით გამოირჩეოდნენ ერთმანეთის მიმართ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ სიმართლეში და ოპონენტის მცდარობაში. მაგალითად გენერალი გ.კვინიტაძე სხვა ბევრ ბრალდებასთან ერთად ნოე ჟორდანიას ბრალად სდებს იმ ფაქტს, რომ 1918 წლის 8 დეკემბერს, როდესაც სომხეთის სახელმწიფომ განახორციელა შეტევა დემოკრატიული საქართველოს მიმართ, საქართველოს მთვარობამ მხოლოდ 18 დეკემბერს გამოაცხადა მობილიზაცია და ა. შ. გ. კვინიტაძის აზრით, გვარდია იყო „სრულიად უვარგისი ბრძოლისათვის, რომელიც განსაკუთრებით დადასტურდა 1921 წელს ჩვენს უკანასკნელ ომში“ (კვინიტაძე, 1954: 13).

საბჭოთა ინტერვენცია ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთიდან საქართველოს წითელი მერვე არმია უტევდა, სამხრეთ აღმოსავლეთიდან მეთერთმეტე არმია, მამისონის უღელტეხილიდან კი მეცხრე არმია ქუთაისის მიმართულებით ახორციელებდა შეტევით ოპერაციებს. პარალელურად საქართველოს სამხრეთ დასავლეთიდან დაემუქრა თურქული ოკუპაციის საფრთხე. ,,...საქართველოს მთავრობას არ შეეძლო საკმარისი სამხედრო ძალით წინ აღდგომოდა თურქეთის აგრესიას ახალ ფრონტზე, რის გამოც იძულებული გახდა ქალაქებიდან(არდაგანი,ართვინი) თავისი ჯარის ნაწილები გაეყვანა, თუმცა კი განაცხადა, რომ ეს სადაო საკითხები ჯარების იძულებითი გაყვანის ფაქტის გამო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მოგვარებულად და რომ მისი მოგვარება შიძლებოდა მხოლოდ შთანხმების ან საერთაშორისო არბიტრაჟის გზით.ამასობაში საქართველოს სამხედრო მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, რესპუბლიკას რომელსაც თვას ესხმოდნენ რამდენიმე მხრიდან, იძულებულს ხდიდნენ სამხედრო ძალები დაეფანტა სხვადასხვა ფრონტზე, შსაბამისად ბრძოლის წარმართვა უხდებოდა არათანაბარ პირობებში. ქართულ ჯარს ალყაში მოქცევა და გარდაუვალი სრული განადგურება ემუქრებოდა...“ (სურგულაძე, 1991: 402-403).

აქედან გამომდინარე არმიის სარდლის გენ. გ. კვინიტაძის გადაწყვეტილება, თბილისიდან ჯარების გაყვანისა და თავდაცვითი ზღუდეების შექმნისა, მიგვაჩნია არათუ შეცდომად, არამედ გამართლებულადაც. ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ ეს ნაბიჯი შეცდომა იყო, მაგრამ მოვლენათა ლოგიკური განვითარება მიუთითებს ჩვენი მოსაზრების მართებულობაზე. გენერალი ოდიშელიძე არ იწონებდა კვინიტაძის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას. ამ საკითხზე საუბრობს გენერალი გ. კვინიტაძე თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი პასუხი“,

იგი ავითარებს მოსაზრებას რომ თავად ნ. ჟორდანიას ეკუთვნოდა თბილისის დატოვების იდეა. მცხეთიდან თბილისის დაცვა ზარბაზნებით წარმოუდგენლად მიაჩნდა. ,,სოღანლუღის ქედიდან მცხეთამდე არანაკლებ 30 კილომეტრია, ჩვენი ზარბაზნები კი 7 კილომეტრზე ისვროდნენ, აქვე ამბობს ერთი საინტერესო ფაქტის შესახებაც: რომელიც პარიზში ყოფნისას სპირიდონ კედიას გამოუქვეყნებია სტატიაში გაზეთ ,,გუშაგში", რომელშიც ავტორი,თბილისის დატოვების იდეის გამხმოვანებლად აცხადებს გ. კვინიტაძეს, ეს ფაქტი გაუჟღერებია ნ. ჟორდანიას დამფუძნებელ კრებაზე. რაც „უცილობელი ტყუილი იყოო" აცხადებს თავად გ. კვინიტაძე (კვინიტაძე, 1954: 22-23).

მტერი თბილისზე მოდიოდა ორი მიმართულებით, მაშველი ძალა თბილისთან არ არსებობდა და ასეთ ფორს მაჟორულ ვითარებაში ინიშნება არმიის სარდლად გ. კვინიტაძე. შეიკრიბა რა სახელდახელო თათბირი ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის, გ. კვინიტაძის და სხვების მონაწილეობით, მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ, ბრძოლის გაგრძელებით. ამ გადაწყვეტილების თანახმად მთავრობა ქუთაისში უნდა გადასულიყო.დაპირისპირება არმიის სარდალსა და მთავრობის თავჯდომარეს შორის აშკარა იყო. *გ. კვინიტაძე დასახელებულ ნაშრომში ადანაშაულებს ნ. ჟორდანიას ბოლშევიკებთან კავშირშიც კი. მიგვაჩნია რომ მისი ეს შეფასება გადაჭარბებულია, თუმცა საერთო ფონი აშკარად შეიძლება გამოვკვეთოთ, რაც მდგომარეობდა შემდეგში: საქართველოში უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გააჩნდათ ერთმანეთის მიმართ ნდობა, ინიშნებოდნენ რა მაღალ თანამდებობებზე ეჭვის თვალით უყურებდნენ ერთმანეთს, სამხედროებს უწუნებდნენ პარტიულ-პოლიტიკურ შეხედულებებს, ხოლო სამხედროები უწუნებდნენ მენშევიკურ მთავრობას ეროვნული პოლიტიკისა და სულისკვეთების არარსებობას.* შექმნილ უმძიმეს ვითარებაში, მაშინ როცა მტერი თითქმის თბილისში იყო, მთავრობის თავმჯდომარე ცდილობდა გარკვეული კონტაქტების დამყარებას მოწინააღმდეგესთან და ამით დროის მოგებას, ამიტომ ნ. ჟორდანიას ბოლშევიკებთან კავშირის დაბრალება ცხადია გადაჭარბებულია. თუმცა არ შეიძლება გამოირიცხოს მთავრობის შიგნით ისეთი ადამიანების არსებობა, რომლებიც მუშაობდნენ მოწინააღმდეგის სასარგებლოთაც. *გ. კვინიტაძესა და ჟორდანიას შორის დაძაბული ურთიერთობა იყო და მათ პარიზში ემიგრაციის შემდეგ გაწყვიტეს ერთმანეთთან ურთიერთობა.*

გმირულად იხევდნენ უკან გ. მაზნიაშვილის რაზმები, რომლებმაც ალყა გაარღვიეს და მცხეთისაკენ შეძლეს გასვლა, ასევე გენ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით ჯარის ნაწილებმაც მოახერხეს მცხეთისკენ გასვლა მტკვრის მარჯვენა ნაპირით (ტაბახმელას მეომრები).

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა წითელი არმია თბილისში შევიდა. ქართული არმიის რეგულარულმა ნაწილებმა ვერ შეძლეს მტრის მცხეთაში შეჩერება

და დაიწყეს უკან დახევა. დემოკრატიული რესპუბლიკის ძალებს შორის მიმდინარე ბრძოლის პერიოდში წითელი არმიის ავანგარდული ნაწილი, 3-4ათასი კაცი მიუახლოვდა სადგურ მიხაილოვოს. 5მარტს კი წამოიწყო ქართული არმიის პოზიციების შტურმი. შეტევა მოგერიებულ იქნა, საღამოს კი მიხაილოვოს დამცველები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რის შედეგადაც ჭითელი არმიის შესაბამისმა ნაწილებმა უკან დაიხიეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალების აღნიშნულმა წარმატებამ თბილისში მყოფი საბჭოთა მთავარსარდლობა აიძულა მოლაპარაკებებზე წასულიყო. თუმცა მოულოდნელად, 6 მარტს გაუგებარი მიზეზების გამო გენ. ა კონიაშვილმა მიატოვა საბრძოლო პოზიციები და დასავლეთის მიმართულებით დაიხია. გ. კვინიტაძე იძულებული გახდა უკან დაეხია. 6 მარტს გაძლიერებულმა წითელი არმიის დაჯგუფებამ დაიკავა სადგური მიხაილოვო, შემდეგ კი სურამის გვირაბი. საქართველოს ჯარი მდინარე რიონის მარცხნივ, საჯავახოში გაჩერდა. გარდა ამისა, ბათუმში იდგა 3000 კაციანი გარნიზონი. თბილისში მყოფმა წითელი არმიის ხელმძღვანელობამ საჭიროდ სცნო მოლაპარაკება გაემართა დასავლეთ საქართველოში მყოფი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის კანონიერ წარმომადგენლებთან. ამ მიზნით ფილიპე მახარაძემ, მამია ორახელაშვილმა და შალვა ელიავამ ნ. ჟორდანიასთან ქართველი ინტელიგენციის ჯგუფი გაგზავნეს. დელეგაციაში შედიოდნენ, მიხაკო წერეთელი, გერონტი ქიქოძე, თედო ღლონტი. წითელი არმიის ხელმძღვანელობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან კაპიტულაციას ითხოვდნენ, ჟორდანიას კი საბჭოთა საქართველოში დარჩენას სთავაზობდნენ, ნოე რამიშვილს კი ვერანაირ გარანტიას ვერ აძლევდნენ. გ. ქიქოძის მემუარების მიხედვით ლენინი უკმაყოფილო იყო ბუდუ მდივნისა და ს. ორჯონიკიძის მიმართ, რადგან მათ ჟორდანია ვერ შეინარჩუნეს საქართველოში“ (რუსეთ საქართველოს ომი (1921). *სავარაუდოდ ჟორდანიას ამ კონტაქტებზე ამახვილებდა გენერალი გ. კვინიტაძე ყურადღებას, როდესაც თავის მემუარებში ბრალს სდებდა ბოლშევიკებთან კავშირში.* უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი როგორც ფრონტზე ასევე პოლიტიკურადაც. ამ სიტუაციაშიც კი ვერ ხერხდებოდა არმიასა და გვარდიას შორის დამყარებულიყო კორდინაცია, რაც ერთობ აუცილებელი იყო. ბუნებრივია ასეთი ვითარება ბოლშევიკებს უადვილებდა შემდგომ წინსვლას. მომდევნო დღისთვის წითელი არმიის ნაწილები სურამის ქედზე იდგნენ. ქართულ ჯარს არც ქუთაისი დაუტოვებია უომრად. მთელ ფრონტზე უმძიმესი ვითარება იყო შქმნილი, ასევე ქაოსი. ამ სიტუაციაში ფრონტის ხელმძღვანელობა დაევალა გ. მაზნიაშვილს. მთავრობა ბათუმში გადავიდა. მაშასადამე, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო აღმოჩნდა არსებობის საფრთხის წინაშე. „...საქართველოს ხელისუფლება კვლავ აღმოჩნდა ვითრებაში, რო-

დესაც არჩევანი უნდა გაეკეთებინა ცუდსა და უარესს შორის. ცუდი იყო გასაბჭოება და დამოუკიდებლობის დაკარგვა, უარესი-საქართველოს გაყოფა ორი დამპყრობლის მიერ. უცხოეთში წასასვლელად გამზადებულმა საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლებამ არჩია ბათუმი საბჭოთა ხელისუფლებისათვის გადაეცა“ (ბრძოლა ბათუმისათვის, 2011: 7). „...ოკუპანტების წინააღმდეგ ძალების ორგანიზება ვერც შემდგომში მოხერხდა. 1921 წლის 17 მარტს ქუთაისში შედგა მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულის გრიგოლ ლორთქიფანიძესა და ახლად შექმნილ საქართველოს რევკომს შორის...“ (ზოსიძე, 2016: 293). *საგარეო თვალსაზრისითაც მეტად არახელსაყრელი ვითარება იყო შექმნილი.* „...საგარეო ფაქტორი მნიშვნელოვანი იყო, საქართველო რუსეთთან თითქმის ერთი-ერთზე იყო დარჩენილი. ფრანგული ფლოტი აფხაზეთის ფრონტზე გვეხმარებოდა, მაგრამ სხვა მხრივ საქმე რთულად იყო...“ (სილაქაძე, 2020: 1). ,,...1921 წლის მარტის შუა რიცხვებში, გურიის მისადგომებთან საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ჯარებს შორის ბოლო საბრძოლო შეტაკება მოხდა. ამ დროს, თბილისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, დამფუძნებელი კრების სასახლეში ახლადშესულმა რევკომმა, დედაქალაქში დარჩენილი დამფუძნებელი კრების რამდენიმე დეპუტატი დაიბარა და დასავლეთ საქართველოში გადასულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკებისათვის შუამდგომლობა სთხოვა. სასახლიდან გამოსული კრების დეპუტატი გერონტი ქიქოძე, თვითგამოცხადებული მთავრობის ახალი საინფორმაციო-პროპაგანდისტული პოლიტიკის პირველი ნაბიჯის მომსწრე გახდა…“ (ხვადაგიანი, 2021).

უაღრესად საინტერესო ინფორმაციაა გადმოცემული 1954 წლის აშშ წარმომადგენელთა პალატის N მე-6 სპეციალურ დადგენილებაში, სადაც დეტალურადაა გადმოცემული გასაბჭოების წინარე და მომდევნო ისტორია. „...მოსკოვს განზრახული ქონდა საქართველოში შეჭრა, და ვერანაირი გარე ძალა მას ვერ შეაჩერებდა. უდავოა, რომ საქართველოზე იერიშის მიტანის მთავარი წამქეზებელი იყო სტალინი, რომელსაც სძულდა საქართველო, იმის გამო, რომ ქართველებმა იგი არ აღიარეს. სავარაუდოდ ლენინი წინააღმდეგი იყო საქართველოში შეჭრისა, მას ეშინოდა იმ რეაქციის რომელიც ამ აგრესიას შეიძლება მოჰყოლოდა..“ (მატიანე, 2009). სენატის ზემოხსენებული კომიტეტის დასკვნით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია და შემდგომი ანექსია მოახდინა შემდეგ მიზეზთა გამო: პირველი - საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის გამო ახლო და შუა აღმოსავლეთთან მიმართებაში. მეორე - საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის, მანგანუმის, ქვანახშირის, ხე-ტყის, ჩაის, ციტრუსის გამოც, რომელიც ასე ძლიერ სურდა რუსეთს. *მესამე - კომუნისტების იმ ფაქტთან შეურიგებლობის გამო, რომ*

მათ საზღვართან ეარსება ნამდვილად დემოკრატიულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც, როგორც მაგნიტს შეეძლო მიეზიდა კავკასიის სხვა ხალხები. მეოთხე - სტალინის საქართველოსადმი სიძულვილის გამო. მეხუთე - კომუნისტების მიერ ცარისტული რუსეთის იმპერიალისტური ექსპანსიის გაგრძელების გამო. *ამ თეზისებზე დაუთანხმებლობა არ შეიძლება, რომელსაც სრულად ვიზიარებთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი პრობლემა დღესაც კი უდგას საქართველოს სახელმწიფოს, რუსეთის ფედერაციას არც დღეს აწყობს მის მეზობლად დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა, რომელიც მას ეგზისტენციალურ საფრთხედ მიაჩნია, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს. მაგრამ ეს არის ფაქტი.*

საქართველოს რევკომის ერთ-ერთ ,,მნიშვნელოვან" ამოცანას წარმოადგენდა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში 1918-1921 წლებში მიღწეული მონაპოვრის ლიკვიდაცია. 1921 წლის 24 მარტს საქართველოს რევკომმა მიიღო დადგენილება საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის თაობაზე (საქართველოს ისტორია, 2003: 110). რევკომები შეუდგნენ სახალხო კომისარიატების შექმნას. მათ საკანონმდებლო აქტების მიღების უფლება არ ქონდათ (კომისარიატებს) ეს იყო რევკომის კომპეტენცია, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებული იყო საბჭოების ყრილობის წინაშე, რომელიც საბჭოთა რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო. რევკომმა გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი და სხვა ტიპის სასამართლოებიც.

საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა გარკვეული ტაქტიკური ნაბიჯები გადაედგა, რასაც საქართველოს მოსახლეობაში უნდა შეეტანა დადებითი იმიჯი საბჭოთა რუსეთის მოქმედების შეფასების საკითხში. ,,...1921 2 მარტს იგი (ლენინი) სერგო ორჯონიკიძესა და საქართველოს რევკომს სწერდა: „უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად როდი იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი" (ბენდიანაშვილი, 1999: 291). როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟორდანია წინააღმდეგი იყო ბოლშევიკებთან კავშირისა, მათ შორის მხოლოდ ერთ საკითხში მოხდა შეთანხმება და ეს იყო ბათუმის საკითხი, რომელიც ბუნებრივია ეროვნული, სახელმწიფოებრივი პოლიტიკით იყო განპირობებული. *ჩვენს მიერ მოყვანილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება განვაცხადოთ შემდეგი, რომ დემოკრატიული საქართველოს მთვარობაში მართლაც შესაძლოა ყოფილიყო კონფორმისტულად განწყობილი სუბიექტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ლენინს უბრალოდ არ ექნებოდა საფუძველი გამოეთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა მომხდარიყო გარკვეული ტიპის თანამშრომლობა, ამ ეჭვს აღვივებს ისიც რომ თავად გ. კვინიტაძე ბრალად*

სდებდა ჟორდანიას ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში, ასევე აშშ წარმომადგენლობითი პალატის ჩვენს მიერ დასახელებული დადგენილება, სადაც მოყვანილია ბოლშევიკების ლიდერის (ლენინის) დამოკიდებულება ქართველ მენშევიკებთან თანამშრომლობის სურვილზე.

„...საქართველოში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა, საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო ძალა რუსეთის საბჭოური იმპერიის მეთერთმეტე წითელი არმია იყო, რომელიც ე. წ. კავკასიის განსაკუთრებულ არმიად მოინათლა. რუსულ-ქართული ბოლშევიკური ხელისუფლება რუსული არმიის ხიშტების ძალას ემყარებოდა, რომელიც განადგურებას უქადდა ქვეყანაში არსებულ ნებისმიერ ოპოზიციურ-ეროვნულ მოძრაობას“ (სილაგავა, 2007: 303-304).

საქართველოდან ემიგრირებულმა *ლეო დუმბაძემ 1954 წლის 13 ოქტომბერს* შემდეგი ხასიათის ჩვენება მისცა აშშ წარმომადგენელთა პალატის ზემოხსენებულ კომიტეტს: „...რუსულ ბოლშევიკური ტერორი საქართველოში 1921 წელს ქვეყნის დაპყრობისთანავე დაიწყო... ტერორის ხანა უკვე 33 წელია გრძელდება... საქართველო არ შეურიგდა მეორე დაპყრობას, შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაციები, რომლებსაც ვეტერანი მებრძოლები ხელმძღვანელობდნენ, 1924 წელს მოხდა დიდი აჯანყება, მაგრამ არათანაბარ ბრძოლაში სისხლში ჩაახშეს... თავისუფალმა მსოფლიომ მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მის მცდელობაში თავი დაეღწია რუსულ-ბოლშევიკური უღლისაგან, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ მორალურად, ერთა ლიგამ მიიღო მხარდამჭერი რეზოლუციები..., გარესამყაროსთან მიმართებაში რუსეთს არასოდეს ჩაუდენია უფრო ვერაგული დანაშაული, ვიდრე საქართველოსთან მიმართებაში და მისი აგრესია არასოდეს ყოფილა უფრო ღია და ცინიკური...“ (მატიანე, 2009). საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ლომინაძე წერდა: „... ჩვენს რევოლუციას საქმის დაწყება იმით მოუხდა, რომ საქართველო წითელი არმიის ხიშტებით დაიპყრო, წითელი არმიისა რომელიც ქართველმა პატრიოტებმა გარეშე, უცხო ძალად მიიჩნიეს, თვით საბჭოთა რევოლუციას ... რუსის ჯარის მხრივ ოკუპაციად წარმოგვიდგენდნენ“ (თოიძე, 1991: 123).

1921 წლის 6 დეკემბრის ანგარიშში გაგზავნილი რუსეთის კომუნისტური პარტიისადმი, ფილიპე მახარაძე წერდა: „... წითელი არმიის შემოსვლა და საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარება გარეგნულად საბჭოთა ოკუპაციას ჰგავდა, რადგან ქვეყანაში არ ჩანდა ის ძალა, რომელიც მზად იყო აჯანყებაში ან რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად... უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში მასები შეეჩვივნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას... ჩვენ გარეგნულად ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არ აპირებდა საქართველოს დამოუკიდებლობის წართმევას... მაგრამ მხოლოდ სიტყვიერად, მაშინ როცა ფაქტო-

ბრივად ჩვენ უარი ვთქვით მასზე და ამგვარი მიზანი საერთოდ არ გვამოძრავებდა. აუტანელი სიტუაციაა, რადგან წარმოუდგენელია მასების მოტყუება პოლიტიკურად, განსაკუთრებით კი ქართველი ხალხის მოტყუება.“(„ივერია“2016: 1).

„ ...1921 წლის 21 მაისს დაიდო „მუშურ გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება, ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთის თვითგამორკვევასა და სუვერენულ უფლებებს, ორივე ქვეყანას შორის დამყარდა სამხედრო და სამეურნეო კავშირები, რუსეთი ვალდებულებას იღებდა დახმარება გაეწია საქართველოსთვის ადგილობრივი წითელი არმიის ჩამოყალიბების საქმეში (ზოსიძე, 2016: 235).

ძალზედ საყურადღებო სტატია აღმოჩნდა გაზეთ „ტრიბუნა“-ში (1922 წ. N333, გვ. 1), იგი ახმოვანებს გარკვეული ჯგუფის დამოკიდებულებას სუვერენიტეტთან დაკავშირებით, სტატიაში ნათქვამია: „ამრიგად ჩვენ ვიცავთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, კავშირზეა ლაპარაკი ამ პროექტშიც, მაგრამ ჩვენს შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ჩვენ ვიცავთ ისეთ კავშირს რომელიც შედგება თანასწორუფლებიანი წევრებისგან, თანაბარი ხმით და მათთვის სუვერენობის დატოვებით. პროექტი კი იცავს ისეთ გაერთიანებას, რომელის წევრები წარმოდგენილი არიან არა თანასწორად არამედ პროპორციის მიხედვით და აგრეთვე სუვერენობის ცენტრზედ გადატანით. ასეთი გაერთიანება უდრის ცალკე რესპუბლიკების გაუქმებას... საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებიც კი მოითხოვს არა მთლიანი რუსეთის აღდგენას, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის განმტკიცებას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს კლასობრივი და ეროვნული ინტერესების სოლიდარობა, ასეთი კავშირიდან ლოღიკურად გამომდინარეობს დაკავშირებულ რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოთა შეთანხმება საერთო საკითხებზე და არა სრული გაერთიანება, რასაც პროექტი მოითხოვს. კავშირში შესულ რესპუბლიკებს უნდა ჰქონდეთ სრული კონტაქტის დამამყარებელი შემათანხმებელი საერთო ორგანოები და არა სრულიად გაერთიანებული, საერთო საკავშირო ცენტრში.შეთანხმებით გამომუშავდება საერთო ზომები და მას ცხოვრებაში ატარებენ ... რესპუბლიკები, ეს შეეხება სამხედრო-საზღვაო საქმეს, საგარეო პოლიტიკას, ფოსტა-ტელეგრაფს,რკინისგზებს და სხვა ასეთ მთავარ საქმეებს. დანარჩენ საქმეში კი რესპუბლიკები არ საჭიროებენ საერთო შემათანხმებელი ცენტრის შექმნას... გარდა ამისა ცალკე რესპუბლიკებს უფლება რჩებათ შეუთანხმდნენ ერთმანეთს ეკონომიკურ თუ კულტურულ საკითხებში და შეჰქმნან საჭირო საერთო ორგანოები რაც ცენტრსაც უნდა ენებოს, რომელსაც უფლება აქვს ეს არ დაუშვას თუ დაინახავს რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის უფლების დარღვევას, ან ინტერესების შელახვას. მაგრამ, ყოვლად დაუშვებელია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებიდან რამდენიმე რესბუბლიკამ პოლიტიკური ხასიათის კავშირი შეადგინონ. ამის უფლება არ უნდა მიეცეს არავის, ვინაიდან ეს იქნებოდა საერთო კავშირში მეორე კავშირის შექმნა, რაც ან სრულიად ზედმეტია და უმიზნო ან მიმართული

იქნება საერთო კავშირის წინააღმდეგ, ვისაც ეს ჰსურს და საჭიროდ მიაჩნია დეე იგი საერთო კავშირიდან გავიდეს და იმოქმედოს როგორც უნდა, მაგრამ საერთო კავშირში იყოს და პოლიტიკური კავშირი შეადგინოს პარალელურად არ შეიძლება. საბჭოთა რესპუბლიკები ერთმანეთს უკავშირდებიან არა მზაკვრული კომბინაციებისთვის, არამედ გულწრფელად, საერთო ინტერესების შეგნებით. ამიტომ, სრულად ზედმეტად მიგვაჩნია ამიერკავკასიის ფედერაციის დატოვება, როცა სდგება ყველა რესპუბლიკების კავშირი. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს რომ ამიერკაკასია გავმიჯნოთ პოლიტიკურად და ეკონომიკურად საბჭოთა რესპუბლიკების საერთო კავშირისაგან. და თუ საჭიროა მაშინ არ უნდა შევიდეს ამიერკავკასია საერთო კავშირში. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ უფრო საჭიროა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კავშირი რაც გულისხმობს, რომ უნდა გაუქმდეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების კერძო კავშირი და საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი დამოუკიდებლად შევიდნენ საერთო კავშირში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს აეკრძალოთურთიერთ შორის შეთანხმება და საერთო ორგანიზაციების მოწყობა, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგები ვართ, ზედმეტად მიგვაჩნია, რომ საერთო კავშირის წევრებს შორის დარჩეს ან შემდეგში შეიქმნას პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კავშირი. ე. ი. არსებობდეს კავშირის შიგნით კიდევ ასეთივე კავშირი. ეს არც მიზანშეწონილია და არც საჭიროება მოითხოვს“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: საქართველოში არსებობდნენ ძალები, რომლებიც შეფარულად ცდილობდნენ გაეტარებიათ ნაციონალური პოლიტიკა უმძიმესი წნეხის ქვეშ. სამწუხაროდ სტატიას არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას ზუსტად დაგვედგინა მათი ვინაობა, სტატიის ავტორად მითითებულია „ომეგა“, ერთი რამ კი შკარაა რომ იგი გამოხატავს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს, რომლებიც ერთგვარად შეფარულად გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებას სუვერენიტეტთან მიმართებაში, იმ პერიოდში აღნიშნული ტიპის განცხადების ასე საჯაროდ დაფიქსირება დიდი რისკის შემცველი იქნებოდა ამ ჯგუფისათვის და მათი შეხედულებების გამზიარებელი პირებისთვისაც. გამოსჭვივის ფარული აზრი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დატოვებისა, თუკი საბჭოთა კავშირში გაერთიანება დაათმობინებდა საქართველოს სუვერენიტეტს.

სტატიის ავტორთა აზრით სრულად შესაძლებელი ყოფილა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე რესპუბლიკებს ჰქონოდათ ასევე საკუთარი პოლიტიკა, თუმცა ამ ნაწილში საერთო სამოკავშირეო შეთანხმების აუცილებლობასაც ითვალისწინებდნენ. ასევე საინტერესოა ჯგუფის მოსაზრება, რომელიც ითვალისწინებს საერთო კავშირში ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებელი ერთეულების სახით გაერთიანებას. სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების

გარდა აღნიშნული ჯგუფისთვის სრულიად ბუნებრივია რომ ნებისმიერი საკითხი რესპუბლიკებმა უნდა მართონ დამოუკიდებლად და არავითარი ცენტრალური მმართველობითი რგოლი ამისათვის საწირო არ იყო. ამრიგად აღნიშნული მოსაზრებანი იმითაც არის საინტერესო, რომ გარკვეულწილად აჩვენებს იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც არსებობდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.

ბოლშევიკების ნაციონალური პოლიტიკა, ბუნებრივია ცხადი იქნებოდა ამ ჯგუფისათვის, ამიტომაც მათი დამოკიდებულება ძალზედ დასაფასებელი ფაქტია. „...როგორია ბოლშევიკების პოზიცია? რევოლუციის შემდეგ პატარა ერები გაერთიანდებიან დიდ ერად ერთ სახელმწიფოში. მათ არ ექნებათ სახელმწიფო და საზღვრები. რაც შეეხება დიდ ერს, იგი შევა მსოფლიო ფედერაციულ რესპუბლიკაში და თუმცა იქნება დამოუკიდებელი ერთეული, სახელმწიფო საზღვრების საკითხი მისთვისაც დაკარგავს მნიშვნელობას. ბოლშევიკები მიისწრაფვიან სახელმწიფო საზღვრების სრულ მოსპობას, ამრიგად ეროვნული კულტურის, ენის დაკარგვის ლენინურ პრინციპს ემატებოდა ეროვნული საზღვრების უკუგდების პრინციპიც...“ (ახტანელი, 2008: 55).

1921 წლის 25 თებერვალს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა „...ასეთ პირობებში ლენინს გაუჩნდა იდეა, მისაღები კომპრომისი შეეთავაზებინა ნოე ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეებისათვის“ (საქართველოს ისტორია, 2012: 267) „... საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მსვლელობის პროცესში გამოცემული დეკრეტი N1 (1921 წ. 25 თებერვალი) ვ. ლენინისეულ სატყუარ ანკესს წარმოადგენდა და საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურად, ნებაყოფლობით განიარაღებაზე იყო გათვლილი“ (აუის, 2015: 101). „...1921 წლის 12 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკამ დაადგინა: თუ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და სხვა პოლიტიკური პარტიები ბრძოლას შეწყვეტდნენ, ოფიციალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი წარმომადგენლები შეეყვანათ საქართველოს საბჭოური მთავრობის შემადგენლობაში... საზავო მოლაპარაკებების დროს საქართველოს მთავრობის სრულუბლებიანმა წარმომადგენელმა გრ. ლორთქიფანიძემ უარი თქვა კაპიტულაციაზე და განაცხადა... დამარცხებით დამთავრებული სახელოვანი ბრძოლა არათუ სჯობდა ნაძრახ ყმობას, არამედ სრულიად აუცილებელი იყო ქართველი ხალხის ეროვნული სიცოცხლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის“ (საქართველოს ისტორია, 2012: 267]. *ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება არ აპირებდა კაპიტულაციას და ბრძოლის გაგრძელებას გეგმავდა საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებით. მოგვიანებით ნათლად წარმოჩინდება ეს მიმართულება.*

„...ქართული ემიგრაცია მაქსიმალურად ცდილობდა ევროპასთან კავშირის დამყარებას და ამ მიზნით ხშირი იყო ვიზიტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის უსამართლობაში, საყურადღებოა, რომ 1921 წელს გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა სიტყვით: „საქართველოს თავისუფლება არის ჩვენი თავისუფლება ... ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი სიმონ ლეონიძე სტატიაში „ჩვენი საკითხი და საერთაშორისო პირობები“ აღნიშნავდა: ,,სრულებით გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, იშვიათად ყოფილა სხვა რომელიმე ერის საკითხი ისე პოპულარული ევროპასა და ამერიკაში, როგორც არის საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე, ქართველი ერის სუვერენობის აღდგენა, ყველამ უკიდურესი მემარჯვენიდან დაწყებული უკიდურეს მემარცხენეებამდე (გარდა კომუნისტებისა, მოსკოვის ოქროთი მოსყიდულებისა), ყველამ კარგად იცის, საქართველო უსამართლოდ, ვერაგულად, ძალით დაიპყრეს რუსისი ბოლშევიკებმა და ქართველ ხალხს სრული უფლება აქვს დაიბრუნოს დამოუკიდებლობა“ ...ემიგრაციის სწორი პოზიციის თანახმად ...იმისათვის, რომ ერმა მოიპოვოს დამოუკიდებლობა, მარტო შინაური ძალები არ კმარა, იმპერიალიზმის ხანაში როდესაც საერთაშორისო ინტერესები მეტად გადახლართულია, როდესაც ყოველი ადგილობრივი საკითხი მხოლოდ ერთი რგოლია, საერთაშორისო პოლიტიკისა, კითხვას წყვეტს არა მხოლოდ შინაური ძალთა განწყობილება, არამედ საერთაშორისო, როგორი მომზადებულიც არ უნდა იყოს ერი საკუთარი ძალების მხრით...ის მიზანს ვერ მიაღწევს თუ საერთაშორისო ძალთა განწყობილება მის მხარეზე არ არის, თუ გარეშე ძალა მას არ თანაუგრძნობს...“ (სონღულაშვილი, 2018: 18-19).

მიუხედავად ემიგრაციის მცდელობისა გამოენახათ გზები და დაერწმუნებიათ საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის აგრესიაში, მათ მხოლოდ მორალური მხარდაჭერა ქონდათ, არავითარი პრაქტიკული ქმედებები არ მოჰყოლია დასავლეთის სახელმწიფოთა მხრიდან. „...1924 წლის 2 თებერვალს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. იმავე წელს აღნიშნულ გზას დააგნენ ევროპის ქვეყნები... ინგლისის ძალისხმევით საბჭოთა კავშირმა თავის სრულ აღიარებას მიაღწია ევროპაში... პირველ მსოფლიო ომში გერმანია დამარცხდა, იგი იძულებული გახდა მოკავშირე ეპოვა და ამ გზამ საბჭოთა კავშირთან მიიყვანა. ეს მოხდა გენუის კონფერენციის დროს რაპალოში 1922 წლის 5 ნოემბრის აქტით... „გერმანიის მთავრობამ წაშალა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა და მოსპო საქართველოს წარმომადგენლობა ბერლინში“...ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მო-

კავშირედ საბჭოთა რუსეთი აირჩიეს და კარი მიუხურეს განსაცდელში მყოფ საქართველოს. საქართველო მარტოდმარტო დარჩა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში“ (ნიქაბაძე, 2008: 261-262).

გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსიშვილი (1956): მათე ალექსიშვილი, რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის,*სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა,* თბილისი;

ახტანელი (2008): ალექსანდრე ახტანელი, რევოლუციური ანექსია, თბილისი;

აუის (2015): ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2015;

ბენდიანაშვილი (1999): ალექსანდრე ბენდიანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი;

ბრძოლა ბათუმისთვის (2011): ბრძოლა ბათუმისთვის, 1921 წლის 18-20 მარტი, თბილისი;

გაზეთი „ტრიბუნა“ (1922): გაზეთი „ტრიბუნა“, N333, 1922;

ვარდოსანიძე, გურული, ხარაძე, ჯიქია, კვარაცხელია (2015): სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია, მაკა კვარაცხელია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957), გამოკვლევა, დოკუმენტები და მასალები, თბილისი;

ზოსიძე (2016): ნუგზარ ზოსიძე, საქართველოს ისტორია, თბილისი;

თოიძე (1981): ლევან თოიძე, ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა, თბილისი;

თოიძე (1991): ლევან თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც და ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი;

„ივერია“ (2016): გაზეთი „ივერია“, 12.03.2016 http://iveria.biz/1581--.html

კვინიტაძე (1954): გიორგი კვინიტაძე, ჩემი პასუხი, პარიზი;

კირთაძე (1996): ნესტან კირთაძე, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, თბილისი;

კაპიტანოვი (1989): ლევან კაპიტანოვი, მეხსიერების ცვლილება, https://ge.boell.org/sites/default/files/levan_kapitanovis_kvleva.pdf

მატიანე (2009): კომუნისტური გადატრიალება და საქართველო https://matiane.wordpress.com/2009/08/30/communist-takeover-occupation-of georgia

„მებრძოლი საქართველო“ (1952): ჟურნალი ,,მებრძოლისაქართველო“, N1, იანვარი, პარიზი, ქართული ეროვნული საბჭო სორგანო. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/100218/1/Mebrdzoli_Saqartvelo_1952_N1.pdf

ნიქაბაძე (2008): ნატო ნიქაბაძე, ქართველური მემკვიდრეობა, https://ejournals.at-su.ge/Kartvelology/issues/XII/NikabadzeNato1.pdf

რუსეთ-საქართველოს-ომი (1921): https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_(1921)

სურგულაძე (1991): აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, საქართველოს ისტორია 1783-1990 წწ. თბილისი;

სილაქაძე (2020): დიმიტრი სილაქაძე, რატომ წავაგეთ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი?" / https://tabula.ge/ge/news/640608-dimitri-silakadze-ratom-cavaget-1921-clis

სილოგავა (2007): ვალერი სილოგავა, კახა შენგელია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ,,ვარდების რევოლუციის ჩათვლით", თბილისი;

საქართველოს ისტორია (2003): საქართველოს ისტორია, ვახტანგ გურულის რედაქტორობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

საქართველოს ისტორია (2012): საქართველოს ისტორია, XIX-XX საუკუნეებში, ტომი IV, თბილისი;

სდსინ (2012): სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IVტომი, ბათუმი;

სონღულაშვილი (2018): ნატო სონღულაშვილი, საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა (1921-1991), თბილისი;

ხვადაგიანი (2021): საბჭოური პროპაგანდა როგორც ტრადიცია - დავით ხვადაგიანი, 2021.01.30.- http://archive.ge/ka/blog/105

nation (2021): nation, 07.21.2021: კონსტანტინე გამსახურდია: რუსული რბილი ძალა ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ ეროვნულ-ინდეპენდისტური მოძრაობა არ ღირდა. https://www.nation.ge/index.php?m=5&news_id=1474&fbclid=IwAR2ax9Am6O9SnUr6p5Nwybt6wYdJeWyZSbhNfiA1bUepHXsZUqQb-iDcetvA